ქუთაისის ჭორიკანაობა

(აზრი ქუთაისის საზოგადოებისა ქართულ ენაზედ და „ცისკარზედ“)

(1860 წელი)

მიფოლოღია მოგვითხრობს ჩვენ, რომ აპოლონმა ჩამოგზავნა ერთი მუზა ქვეყანაზედ ოლიმპის მთიდგან, კაცების განათლებისათვის. ის მუზა ჩამოვიდა-რა ღმერთების მთიდგან, ყვიროდა: „ბატონებო! იყიდეთ ჭკუა, იყიდეთ ჭკუა, საჭირო არის თქვენთვის ჭკუაო, იყიდეთ, ბატონებო, ღვთის გულისათვის, იყიდეთ“. მაგრამ ისე უსარგებლოდ ეჩვენა კაცებს ჭკუა, რომ მუზადგან არავინ არ იყიდა. შერცხვენილი მუზა, თავდახრილი ავიდა ისევე ოლიმპზედ.

ჩვენი „ცისკარის“ რედაკტორის ხმაც ასე ანუ მსგავსად ამისა ისმის. მე არ გახლავარ ტფილისს და არ ვიცი, მანდ რა აზრი აქვთ მადაურ საზოგადოებას ქართულ ენაზედ, მაგრამ თუმც ნებას მომცემთ და ქუთაისელები არ გამიწყრებით, ერთს შემთხვევას მოგახსენებ, რომლისაგან შეიძლება სხვათა თემის ხალხთა შეიტყონ თუ რა აზრი აქვთ ქუთაისში ქართულ ენაზედ.

ერთი კვირეა მას აქეთ (მგონი მეტიც არის), მე გახლდი აქაურ შეკრებულებაში, ქალებმა ლოტტოს თამაშობა დაიწყეს, კაცებმა-პრეფერანსისა. ვინც არც ლოტტოს თამაშობდა და არც პრეფერანსსა, გოსტინაში გავიდენ და მუსაიფი დაიწყეს. მასპინძელმა „ცისკარის“ წიგნები მოიტანა და იმ წიგნებს შინჯვა დაუწყეს. იქ ზოგიერნთი იყვნენ, რომელთაც „ცისკარი“ არ ენახათ და არც იცოდნენ თუ „ცისკარი“ ჟურნალს ერქვა.

ერთმა სტუმარმა წაიკითხა თ. ალ. ვ. ჯ[ამბაკურ]-ორბელიანის „ქართული უბნობა ანუ წერა“ და უფ. დიმიტრი ბაქრაძისაგან მოწერილი მისდამი წიგნი. ამ წაკითხვის შემდგომ ორი კაცი შევიდა მეორე ოთახში და რამდენიმე წამის შემდგომ იქიდან მოისმა ხმა ლაპარაკისა. მე შევედი რა სანახავად, ვნახე, რომ ის კაცები ქართულ ენაზედ ლაპარაკობდნენ.

აი ამათი ლაპარაკი სიტყვიდან სიტყვამდი:

კ.ნ. თავადი ალექსანდრე ვახტანგის-ძე ჯამბაკურიან-ორბელიანი ყურს მაინც უგდებს ჩვენ ენას, ყოვლის ძალითა ცდილობს, რომ არ დაკარგოს.

ი.ნ. მე თქვენ გარწმუნებთ,რომ დროს კარგამს უბრალოთ. აბა რა სასარგებლოა ქართული ენა?

კ.ნ. თქვენი სიტყვებიდან გამოდის, რომ დიდი არაფერი არ იქნება, ჩვენი სამშობლო ენა რომ დავკარგოთ.

ი.ნ. რა საჭიროა ქართული ენა?

კ.ნ. მე თქვენ გთხოვ,რომ აიღოთ იანვრის წიგნი „ცისკარისა“ ამა წლისა, და წაიკითხოთ ბაქარ ქართლელისგან მიწერილი წიგნი თეიმურაზ ვაკელთან. თქვენ არ წაგიკითხამთ ეს წიგნი?

ი.ნ. არ წამიკითხამს.

კ.ნ. „ცისკარს“ არ იწერთ?

ი.ნ. დიახ, ვიწერ.

კ.ნ. რათ იწერთ „ცისკარს“, თუ არ კითხულობთ?

ი.ნ. „ცისკარი“ რომ არ გამოვიწერო, იტყვიან: სიძუნწით მოსდისო. ან რა დიდი ფულია. შვიდი მანეთი, თუ გინდა გლახაკისათვის მიჩუქებია.

კ.ნ. მაშ მოვიტანოთ და წავიკითხოთ ბაქარის წიგნი. ამის შემდგომ მოიტანეს იანვრის წიგნი და წაიკითხეს შესავალი.

კ.ნ. აი რისათვის არ უნდა დავკარგოთ ჩვენი ენა!

ი.ნ. თქვენ რომ ქართული ენა არ გესწავლათ და რუსული კი კარგათ იცოდეთ, რა დაგაკლდებოდათ?

კ.ნ. ვსთქვათ, რომ რუსული კარგათ ვისწავლე და ქართული დავივიწყე, მომცეს ჩინი, დამაყენეს სეკრეტრად ან სოვეტნიკათ, მე მაშინ არ მექნება მოსვენება, სინიდისი შემაწუხებს, ყველას თითით საჩვენებლად ვეყოლები. აი, როგორც, მაგალითათ ვთქვათ ჩვენი ჭ...

ი.ნ. დავტოვოთ ჭ. და მისი ენის დაკარგვა. ეხლა ეს მიბძანეთ, შენი ჭირიმე, რას გვიკეთებს ჩვენ „ცისკარი“, აი ეს წიგნები? ამისთანა უსარგებლო და მცირე ჟურნალი არც ყოფილა, არც არის და არც იქნება მთელს ქვეყანაზედ.

კ.ნ. წარმოიდგინე შენი თავი უფ. რედაკტორის ადგილზედ. რას გაარიგებ თქვენ, და როგორ ჟურნალს გამოცემ ქართულ ენაზედ, იმისთანა ენაზედ, რომელზედ არცერთი ჟურნალი და გაზეთი არ გამოდის, რას გაარიგებ თქვენ რამდენიმე ხელის მომწერითა. თქვენ იცით, რომ „ცისკარს“ ჰყავს, როგორც ვნახეთ, წრევანდელი დაბეჭდილი სია, ას ოთხმოცი ხელის მომწერნი. ქაღალდი უნდა, ტიპოგრაფიაც უნდა, მბეჭდავები, და რაც ყველაზედ ძნელია, მწერლებიც უნდა. ეხლა, მადლობა ღმერთსა, რომ „ცისკრის“ საქმე უკეთ მიდის, აბა აიღეთ ხელში შარშანწინდელი „ცისკრის“ წიგნები: თქვენ ნახამთ, რომ უმეტესი ნაწილი სტატიებისა დაწერილია კერესელიძისაგან, იქნება ერთი ან ორი სტატია შეგხვდეს სხვისი.

რედაკტორი ადვილათ აღასრულებს თავის დანიშვნას მაშინ, როდესაც აქვს შეძლება, ჰყავს ხელის მომწერნი და თანაშემწენი. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ უფ. კერესელიძე თავის საკუთარს ფულს ხარჯამს, ოღონდ კი „ცისკარს“ მოეხმაროს.

ბოლოს **კ.ნ.** გულის საკვდავად ამოიოხრა და სთქვა: მგლის თავზედ დარიგებას კითხულობდენ, აცა ცხვარი წავიდაო. ჰსჩანს, რომ უნდა გამოვიტიროთ წინათვე ჩვენი ენის დაკარგვაო.

<u>ტექსტის ციფრული ვერსია მოამზადა:</u>

საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელს სავანის საჯარო სკოლის მოსწავლემ **ხატია ქვათაძემ.**

12 აპრილი, 2020 წელი
#დარჩისახლში